

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს „სითი 2019“ სკ 445556069

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2. მოგება - ზარალის ანგარიში
3. კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს „სითი 2019“ - ს/კ-445556069

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2020	2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2,418,723	645,032
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,418,723	645,032
მიმდინარე აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
დებიტორული დავალიანება და ავანსები	965,520	722,733
მარაგები	145,528	113,315
ფულადი სახსრები და მათი ექვი.	108,854	198,423
სულ მიმდინარე აქტივები	1,219,902	1,034,471
სულ აქტივები	3,638,625	1,679,503
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	3,894
გაუნაწილებელი მოგება	202,367	-
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი	121,896	202,367
სულ კაპიტალი	324,263	206,261
ვალდებულებები		
მიმდინარე ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,298,582	1,472,606
საგადასახადო ვალდებულებები	15,780	636
სულ მიმდინარე ვალდებულებები	3,314,362	1,473,242
სულ ვალდებულებები	3,314,362	1,473,242
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	3,638,625	1,679,503

დირექტორი:

სეზგინ ბარიშ აქაჩ

მთ. ბუღალტერი:

ირაკლი ირემაძე



შპს „სითი 2019“, ს/კ-445556069

მოგება - ზარალის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2020	2019
შემოსავალი ბეტონის რეალიზაციიდან	1,641,333	2,234,943
შემოსავალი ქვიშა-ღორღის რეალიზაციიდან	169,216	129,523
შემოსავალი გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან	503,377	-
შემოსავალი მომსახურებიდან	32,818	-
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(1,665,480)	(1,543,749)
საერთო მოგება	681,264	820,717
ადმინისტრაციული ხარჯი	(214,803)	(46,079)
კომუნალური ხარჯი	(33,355)	(2,553)
საიჯარო მომსახურება	(44,345)	(112,829)
რემონტის დანახარჯები	(48,775)	(9,455)
სატრანსპორტო მომსახურება	(175,212)	(358,762)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(54,294)	(94,706)
ფინანსური შემოსავლები	29,810	30,025
ფინანსური დანახარჯები	(18,394)	(23,991)
საანგარიშო წლის მოგება დაბეგვრამდე	121,896	202,367
მოგების გადასახადი	-	-
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	121,896	202,367

დირექტორი:

სეზგინ ზარიშ აქაჩი

მთ. ბუღალტერი:

ირაკლი ირემაძე



შპს „სითი 2019“, ს/კ-445556069

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
2019 წლის მოგება	-	202,367	202,367
საწესდებო კაპიტალის შევსება	3,894	-	3,894
დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,894	202,367	206,261
2020 წლის მოგება	-	121,896	121,896
საწესდებო კაპიტალის შევსება	(3,894)	-	(3,894)
დივიდენდები	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	324,263	324,263

დირექტორი:

სეზგინ ბარიშ აქაჩი



მთ. ბუღალტერი:

ირაკლი ირემაძე



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სითი 2019“ სკ-445556069, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 25 აპრილს, საწარმოს იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. ბათუმი, ქეთევან წამებულის პირველი ჩიხი, N18ბ. საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ა. შაინიძის N 7ა . საწარმო დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ფიზიკური პირი სეზგინ ბარიშ აქაჩი პნ 61991004583.

საწარმოს ძირითადი საქმიანობებია:

1. საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ფართების რეალიზაცია;
2. სამშენებლო-სასაქონლო ბეტონის წარმოება და რეალიზაცია;

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა ნაგებობები - 5 %; მანქანა დანადგარები - 20-%; საოფისე აღჭურვილობა -20-%; ავეჯი და მოწყობილობები -20-%; სხვა ძირითადი საშუალებები -20-%.

3.4. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი . თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.5. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.6. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.7. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ. დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.8. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.9. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით. სსკ-ის მიხედვით

საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი. მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

დირექტორი:

სეზუგინ ბარიშ აქაჩ



მთ. ბუღალტერი:

ირაკლი ირემაძე

